პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ქვირა
14 აპრილი
1940 წ.
№ 86 (5787)
ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება კოლმეურნეობათა და ერთპიროვნულ მეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლისა და ბრინჯის სავალდებულო ჩაბარების შესახებ (1-ლი გვ.)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი (1-ლი და მე-2 გვ.)

რევოლუციის დიდი პოეტი (მოწინავე)

ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის 317 მუშაკის დაჯილდოება (მე-2 გვ.)

უცხოეთში:

სამხედრო ოპერაციები ევროპის დასავლეთ-დასავლეთ ნაწილში (მე-2 გვ.)

გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ცნობა (მე-2 გვ.)

რეიტერის სააგენტო გერმანიისათვის ზღვაში მიყენებული ზარალის შესახებ (მე-2 გვ.)

ორი მთავრობა ნორვეგიაში? (მე-2 გვ.)

კოლმეურნეობათა და ერთპიროვნულ მეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლისა და ბრინჯის სავალდებულო ჩაბარების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

II. მარცვლისა — ერთპიროვნულ მეურნეობათა, აგრეთვე მარცვლეული ნათესების მქონე კოლმეურნეთა, შინამრეწველთა, მუშათა და მოსამსახურეთა მიერ

ოლქები, მხარეები და რესპუბლიკები	ივლისში	აგვისტოში	სექტემბერში	ოქტომბერში
I				
როსტოვის, სტალინგრადის, სარატოვის, სამხრეთ-კაზახეთის, დასავლეთ-კაზახეთის, ალმა-ატის, ვორონეჟისა და კურსკის ოლქები;				
კრასნოდარისა და ორჯონიკიძის მხარეები;				
ყირიმის, ჩაჩნეთ-ინგუშეთის, დაღისტნის, ჩრდილოეთ-ოსეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ყალმუხეთის და ვოლგისპირა გერმანელთა ასს რესპუბლიკები;	20	50	30	—
უკრაინის, აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს, უზბეკეთის, თურქმენეთის, ტაჯიკეთისა და ყირგიზეთის სს რესპუბლიკები;				
II				
ჩკალოვის, კუიბიშევის, პენზის ოლქები;				
ბაშკირეთის, თათრეთის და მორდვეთის ასს რესპუბლიკები;	—	60	40	—
კაზახეთის სს რესპუბლიკა (გარდა სამხრეთ-კაზახეთის, დასავლეთ-კაზახეთის და ალმა-ატის ოლქებისა);				
III				
მოსკოვის, კიროვის, გორკის, რიაზანის, ტულის, ტამბოვის, ორიოლის, ლენინგრადის, ივანოვოს, იაროსლავლის, კალინინისა და სმოლენსკის ოლქები;	—	50	30	—
ჩუვაშეთის, მარეთის და უდმურტეთის ასს რესპუბლიკები;				
ბელორუსიის სს რესპუბლიკა;				
IV				
სვერდლოვსკის, მოლოტოვის, ჩელიაბინსკის, ომსკის, ნოვოსიბირსკის, ირკუტსკის, ჩიტის, არხანგელსკისა და ვოლოგდის ოლქები;				
ალტაის, კრასნოიარსკის, ხაბაროვსკისა და პრიმორიეს მხარეები;	—	35	55	10
კომის, იაკუტიის და ბურიატ-მონღოლეთის ასს რესპუბლიკები;				
კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკა.				

III. სიმინდისა და ბრინჯისა — კოლმეურნეობათა და ერთპიროვნულ მეურნეობათა, აგრეთვე მარცვლეული ნათესების მქონე კოლმეურნეთა, მუშათა, მოსამსახურეთა და შინამრეწველთა მიერ

კულტურები	ოქტომბერში	ნოემბერში
სიმინდი	40	60
ბრინჯი	35	65

8. დაწესდეს, რომ სახელმწიფოსათვის მარცვლისა და ბრინჯის სავალდებულო ჩაბარებაში მონაწილეობას არ იღებენ:

ა) მოხუცებულობის გამო შრომის უნარმოკლებულთა მეურნეობანი—60 წლის ასაკს მიღწეული მამაკაცებისა და 55 წლის ასაკს მიღწეული ქალებისა, რომლებსაც ამ მეურნეობაში სამუშაოდ არა ჰყავთ ოჯახის სხვა შრომისუნარიანი წევრები, აგრეთვე ინ მოხუცებულ მამაკაცთა და ქალთა მეურნეობანი, რომელთა შვილებიც ნამდვილ სამხედრო სამსახურში იმყოფებიან და ოჯახში კი დარჩნენ ცოლები 7 წლის ასაკამდე ბავშვებითურთ;

ბ) წითელარმიელთა მეურნეობანი, თუ ოჯახის მეთაური ნამდვილ სამხედრო სამსახურში იმყოფება და ოჯახში კი დარჩა მისი ცოლი შვილი წლის ასაკამდე ბავშვებითურთ;

გ) ომისა და შრომის იმ ინვალიდთა მეურნეობანი, რომლებიც სოციალური უზრუნველყოფის ან სოციალური დაზღვევის ორგანოების მიერ მიკუთვნებული არიან ინვალიდობის პირველ და მეორე ჯგუფებზე.

9. სახელმწიფოსათვის მარცვლისა და ბრინჯის ჩაბარების იმ ვალდებულებათა შესრულება, რომლებიც ამ დადგენილებით არის დაწესებული, წარმოადგენს თვითეული კოლმეურნეობისა და ერთპიროვნული მეურნეობის პირველი რიგის მოვალეობას და უნდა მოხდეს პირველი გალეწვიდან, ამასთან ვალდებულებათა განზრახ შეუსრულებლობა დაისჯება კანონით.

10. კატეგორიულად ეკრძალებათ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებსა და დამამზადებელ ორგანოებს დააკისრონ კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებს მარცვლისა და ბრინჯის ჩაბარების ისეთი ვალდებულებანი, რაც ჰექტაროზრივ ნორმებს აღემატება.

სახელმწიფოსათვის მარცვლისა და ბრინჯის ჩაბარების ვალდებულებათა შესრულების შემდეგ მთელი გარდამეტი პური რჩება კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა სრულ განკარგულებაში.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მოლოტოვი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ი. სტალინი

1940 წლის 11 აპრილი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ჭითელი არმიის უფროსთა და მეომრებთა შემადგენლობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ

ფინელ თეთრგვარდიელობასთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან სიმამაცისა და გმირობის გამოჩენისათვის **საბჭოთა კავშირის გმირის** სახელწოდება მიენიჭოს და **ლენინის** ორდენი და **„ოქროს ვარსკვლავის“** medali გადაეცეს:

1. წითელარმიელ ივანე პავლეს-ძე **ალიაევს.**
2. სამხედრო ფერშალს ივანე თევდორეს-ძე **ბირცევს.**
3. უმცროს ლეიტენანტს თევდორე ზაქარიას-ძე **ბაბაჩენკოს.**
4. წითელარმიელ ნიკოლოზ მიხეილის-ძე **ბერენდეევს.**
5. წითელარმიელ პეტრე სიმონის-ძე **ვოლოსოვიჩს.**
6. წითელარმიელ გარმაჟო აიურის-ძე **გარმაევს.**
7. უფროს ლეიტენანტს ბორის სიმონის-ძე **დოლგის.**
8. უმცროს მეთაურს ზაქარია ათანასეს-ძე **დონის.**
9. უმცროს მეთაურს ივანე ზაქარიას-ძე **დრებოტს.**
10. კაპიტან ალექსანდრე ივანეს-ძე **დიდიშკოს.**
11. უმცროს პოლიტხელს სტეფანე მიხეილის-ძე **ჟოლობს.**
12. ლეიტენანტ სტეფანე მიხეილის-ძე **ჟურავლიოვს.**
13. უმცროს ლეიტენანტს ივანე სიმონის-ძე **ზარინკოვს.**
14. უმცროს მეთაურს დენის არქიპის-ძე **ზაიაცს.**
15. შოფერ პროხორ დიმიტრის-ძე **ზალესოვს.**
16. ლეიტენანტ სტეფანე პეტრეს-ძე **კომლევს.**
17. შოფერ ივანე დიმიტრის-ძე **კრაინოვს.**
18. წითელარმიელ ზამხარი ასმანის-ძე **კუნეევს.**
19. ლეიტენანტ ივანე პეტრეს- ძე **მარკოვს.**
20. უფროს ლეიტენანტს სტეფანე მიხეილის-ძე **ნიკოლენკოს.**
21. ლეიტენანტ ალექსანდრე ტროფიმეს-ძე **ოსიპენკოს.**
22. უმცროს მეთაურს ივანე არსენის-ძე **სამოილოვს.**
23. უმცროს მეთაურს სერგი ვასილის-ძე **სემინს.**
24. ლეიტენანტ ივანე თევდორეს-ძე **სპირიაკოვს.**
25. უფროს ლეიტენანტს გიორგი ფილიმონის-ძე **ხარაბორკინს.**
26. უმცროს ლეიტენანტს მიხეილ სიმონის-ძე **შამრაის.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი 1940 წ. 11 აპრილი.

ვ. ვ. მაიაკოვსკი

რევოლუციის დიდი პოეტი

დღეს ჩვენი დიდი სამშობლო და მისი ბედნიერი ხალხები აღნიშნავენ საბჭოთა ეპოქის საუკეთესო, უნიჭიერესი პოეტის — ვლადიმერ ვლადიმერის-ძის მაიაკოვსკის გარდაცვალების ათი წლისთავს.

ათი წლის წინათ შესწყდა სიცოცხლე რევოლუციის დიადი მომღერლისა, ვინც თავისი „ლექსის მჭეჭარე ძალა“ უხვაკლოდ ანაცვალა ჯერ ოქტომბრისა, ხოლო შემდეგ სოციალიზმის გამარჯვებათა მოპოვებისათვის შეტევაზე გადასულ კლასს, სიცოცხლე დიადი საბჭოთა მოქალაქისა, რომელსაც თავი მუდამ წარმოედგინა „უდიადეს საბჭოთა ქარხნად, ბედნიერების პროდუქციას რომ აშუშავებს“. ისტორიისათვის ათი წელი არც ისე დიდი დროა, მაგრამ საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის ეს უშესანიშნავესი თარიღები იყო იმ სტალინური გამარჯვებებისა, რომლებიც მოპოებულია ჩვენი ქვეყნის სამეურნეო, კულტურული, პოლიტიკური და საერთაშორისო ცხოვრების სფეროში.

რუსეთის პოეზიის შესანიშნავ რგოლში, რომელიც გენიალური პუშკინით იწყება და რომელსაც ამშვენებენ ისეთი სახელები, როგორიცაა ლერმონტოვი, ნეკრასოვი და სხვ., ვ. მაიაკოვსკი მოსჩანს, როგორც ახალი პოეტური მწვერვალი. საუკუნეთა განმავლობაში მისი მნიშვნელობა რუსეთის ლიტერატურისათვის იგივე დარჩება, რაც ალ. პუშკინისა.

ვ. მაიაკოვსკი საბჭოთა პოეზიის მამამთავარია. მან პირველმა მოგვითხრო მხატვრულ ლიტერატურაში ახალი ქვეყნისა და ახალი ადამიანის დაბადების შესახებ, მოგვითხრო ამაღელვებელი ენით, მძლავრი პოეტური პათოსით. მისი ძლიერი ხმა გასცდა დიადი საბჭოთა ქვეყნის საზღვრებს და ცხოველმყოფელი გავლენა იქონია ბევრ უცხოელ პოეტზე.

ვ. მაიაკოვსკი ჩვენი დიდებული თანამედროვეა, ყველა იმ საუკეთესო თვისებათა მატარებელი, რაც ახალ ადამიანში ოქტომბრის დიადმა სოციალისტურმა რევოლუციამ აღმოაჩინა და რაც ლენინ-სტალინის გენიის ცხოველმყოფელმა შუქმა გაათბო და განავითარა. თავისი სიცოცხლის უდიდეს მიზნად ის სახავდა ხალხის სამსახურს. მისი ლექსის ყოველი სტრიქონი უცვლელად ემსახურებოდა ამ კეთილშობილ გრძნობას.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ვ. მაიაკოვსკის, ისე როგორც დიდებული მაჭიმ გორკის წინაშე, არ დამდგარა საკითხი მისი მიღებისა თუ არ მიღების შესახებ. — „ჩემი რევოლუციაო!.. წავედი მისთვის სამუშაოდ“— ამბობს პოეტი თავის ავტობიოგრაფიაში. მეზღვაურების ერთერთი რაზმი, რომელიც ზამთრის სასახლეს უტევდა, მღეროდა პოეტის ლექსს. ვ. მაიაკოვსკიმ იგრძნო ის სულიერი სიახლოვე, რაც მას პროლეტარიატთან აკავშირებდა. გზა გაეხსნა მის დიდ ადამიანურ გრძნობებს, ხალხისადმი რწმენას, ხალხის სიყვარულს. მისმა დიდმა პოეტურმა გაქანებამ ჰპოვა დიდი თემა. გარკვეული მიზანი დაესახა მის შემოქმედებას. კომუნიზმი იყო ეს მიზანი. კომუნიზმის მშენებლობის საქმეში ის ჩაება მთელი თავისი არსებით; ჩაება ისე, როგორც ჩაბმულია მასში ჩვენი მოწინავე სტახანოველი, კოლმეურნე, წითელარმიელი, მეცნიერი და მშრომელი ინტელიგენტი. საკმარისია თვალის ერთი გადავლება ყოველივე იმაზე, რაც პოეტს დაუწერია სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში, რომ წარმოვიდგინოთ იმ დიდი დაძაბული მუშაობის მოცულობა, რასაც ვ. მაიაკოვსკი ეწეოდა „როსტას“ პლაკატებიდან მოყოლებული ჩვენი საბჭოთა ეპოქის ამსახველ ეპაკურ ნაწარმოებებამდე.

ვ. მაიაკოვსკის მაღალი პოეტური ოსტატობით შექმნილი ყოველი სტრიქონი ემსახურება ჩვენს ხალხს, საბჭოთა სამშობლოს. ჩვენი ბედნიერი დროის მკითხველი მისგან ითვისებს მაღალ იდეურობას, ხალხის სიყვარულს, მისთვის თავდადებისა და საბჭოთა პატრიოტიზმის მაღალ გრძნობებს.

— მე პირადად, — ამბობდა პოეტი, —ორი ჟანრის სურათით ვამოწმებ ჩემს ლექსებს, — საფლავებიდან რომ წარმოსდგნენ პოეტები, მათ უნდა სთქვან: ჩვენ ასეთი ლექსები არ გვქონია, არ ვიცნობდით, არ ვიცოდითო. საფლავიდან რომ აღსდგეს წარსული— თავისი თეორებითა და რესტავრაციით, ჩემი ლექსები უნდა მოსძებნოს და მოსპოს, რადგან ისინი თეორებისათვის სავსებით მავნენი არიან.

ასე იყო შერწყმული რევოლუციას დიდ პოეტში მაღალი ბოლშევიკური იდეურობა და პრინციპულობა იშვიათ პოეტურ ოსტატობასთან. მსოფლიოში ყველაზე მოწინავე პოეზიას — საბჭოთა პოეზიას—შეუძლია დაეწაფოს მაიაკოვსკის შემოქმედებას. საბჭოთა პოეზიას შეუძლია ისწავლოს მისგან სოციალიზმის მტრების სიძულვილი, შეითვისოს პოეტისაგან იმის ხელოვნება, თუ როგორ უნდა გამოიცნო შენიღბული მტერი.

ხალხთა დიდი ბელადის, ამხანაგ **სტალინის** სიტყვები იმის შესახებ, რომ მაიაკოვსკი იყო და რჩება ჩვენა საბჭოთა ეპოქის საუკეთესო და უნიჭიერეს პოეტად, სოციალისტური რევოლუციის დიდი პოეტის ღირსეული შეფასებაა.

ვ. მაიაკოვსკის უკვდავ სახელს არ დაივიწყებს საბჭოთა ქვეყნის მრავალრიცხოვანი ხალხი, რომელიც ლენინ-სტალინის დიდი დროშის ქვეშ დარაზმული აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სოფელ ბაღდათისათვის სოფელ მაიაკოვსკის და ბაღდათის რაიონისათვის მაიაკოვსკის რაიონის დარქმევის შესახებ

დაკმაყოფილებულ იქნას საქართველოს სსრ ბაღდათის რაიონის კოლმეურნეთა და მშრომელთა თხოვნა და ვ. ვ. მაიაკოვსკის გარდაცვალების დღიდან ათი წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით მაიაკოვსკის სამშობლო სოფელ ბაღდათს დაერქვას სოფელი მაიაკოვსკი და ბაღდათის რაიონს მაიაკოვსკის რაიონი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი,
1940 წ. 13 აპრილი.

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ԳՐԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ ՀԱՐՅԱՆ ԿՈՄԻՏԵՏԻ ՀՐԱՏԱՐԱԿՉՈՒԹՅԱՄԲ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ԳՐԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ ՀԱՐՅԱՆ ԿՈՄԻՏԵՏԻ ՀՐԱՏԱՐԱԿՉՈՒԹՅԱՄԲ

ԱՆՑԿԱՑԱԾ ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ԳՐԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ ՀԱՐՅԱՆ ԿՈՄԻՏԵՏԻ ԿՈՂՄԻՑ ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ԳՐԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ ՀԱՐՅԱՆ ԿՈՄԻՏԵՏԻ ՀՐԱՏԱՐԱԿՉՈՒԹՅԱՄԲ ԱՆՑԿԱՑԱԾ ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ԳՐԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ ՀԱՐՅԱՆ ԿՈՄԻՏԵՏԻ ԿՈՂՄԻՑ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ԳՐԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ ՀԱՐՅԱՆ ԿՈՄԻՏԵՏԻ ՀՐԱՏԱՐԱԿՉՈՒԹՅԱՄԲ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ԳՐԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ ՀԱՐՅԱՆ ԿՈՄԻՏԵՏԻ ԿՈՂՄԻՑ